საკონსულტაციო მომსახურება

(ურბანული ტრანსპორტი /
პროექტის განხორციელებისა და
მხარდამჭერი ღონისძიებების კონსულტანტი)

ვადა: 2025 წლის 17 სექტემბერი
12:00 (UTC)
14:00 (CET)
16:00 (თბილისის დრო)

ქვეყანა: საქართველო

პროექტი: მდგრადი ურბანული მობილობა

BMZ №: 202165249

დამკვეთი / პროექტის განმახორციელებელი სააგენტო:
ბათუმის მერია
მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური
ლუკა ასათიანის ქ. №25
6010 ბათუმი, საქართველო

ტენდერი: საერთაშორისო კონკურენტული ტენდერი საკონსულტაციო
მომსახურებაზე:
„პროექტის განხორციელებისა და
მხარდამჭერი ღონისძიებების კონსულტანტი“

KfW შესყიდვების ID: 513030

პრე-კვალიფიკაცია

პროექტის ღონისძიებები

პროექტი „მდგრადი ურბანული მობილობა“ მიზნად ისახავს სათბური გაზების ემისიების შემცირებას და ბათუმის სატრანსპორტო სისტემის კლიმატური და ეკოლოგიური მდგრადობის გაუმჯობესებას.

პროექტის ღონისძიებებია:

- თანამედროვე სატრანსპორტო მართვის ცენტრის (BOCC) შექმნა;
- ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემების (ITS) დანერგვა;
- ეკომობილობის ინფრასტრუქტურის განვითარება ძირითად სატრანსპორტო დერეფნებში;
- ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

პროექტის განხორციელების შედეგად, ბათუმის მოსახლეობა ისარგებლებს საზოგადოებრივი და არამოტორიზებული ტრანსპორტის გაუმჯობესებული შესაძლებლობებით, ჰაერის ხარისხის ზრდითა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით.

პროექტი მოიცავს:

- ITS აღჭურვილობის მონტაჟს;
- ქალაქის მასშტაბით ახალი მოძრაობის მართვის პლატფორმის დანერგვას,
- საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ველოგადაადგილების ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების გაძლიერებას.

პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებები

1. ყველა კომპონენტის – BOCC შენობა, ITS სისტემები და ეკომობილობის დერეფნები – კონცეპტუალური და დეტალური დიზაინის მომზადება;
2. შესყიდვების პროცედურების მომზადებისა და განხორციელების მხარდაჭერა;
3. სამშენებლო და საინსტალაციო სამუშაოების ზედამხედველობა;
4. ESHS (გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების) და OHS (შრომის უსაფრთხოების) მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
5. ბათუმის მერიის მხარდაჭერა პროექტის განხორციელებაში, მონიტორინგში, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციასა და კონტრაქტების მართვაში;
6. შესაძლებლობების გაძლიერებისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება;
7. დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების ჩართულობის დაგეგმვა და უზრუნველყოფა.

შესყიდვების ჩარჩო

პრე-კვალიფიკაცია განხორციელდება KfW-ის „საკონსულტაციო მომსახურების, სამუშაოების, დანადგარების, საქონლისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის სახელმძღვანელოს“ (ბოლო ვერსია: 2021, განახლება 2024) შესაბამისად (www.kfw-entwicklungsbank.de).

ელექტრონული ტენდერი

ტენდერში განაცხადის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად – Exficon GmbH-ის ელექტრონული შესყიდვების პლატფორმის მეშვეობით.
ფიზიკური ფორმით განაცხადის წარდგენა საჭირო არ არის.
დამატებითი ინფორმაცია მოცემულია პრე-კვალიფიკაციის დოკუმენტში.

პრე-კვალიფიკაციის დოკუმენტაციის მისაღებად, გთხოვთ დაუკავშირდეთ დამკვეთის წარმომადგენელს:
ქალბატონ რუსუდან ჟოჟაძეს (rzhozhadze@gmail.com)
და ტენდერის აგენტს: tender@renemeyer.org